ქ. ფოთი
ს.ხ. საბ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 35 (19477) ◆ სამშაბათი, 11 თებერვალი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

მომთხოვნელობის ქმედითი საზომით

ყოველ კომუნისტს, რა პოსტიც უნდა ეკავოს, საჭიროა შეეძლოს მომთხოვნელობის უმაღლესი გრძნობა როგორც საკუთარი თავისადმი, ისე თანამოსაქმე ამხანაგებისადმი, ყველასადმი. მომთხოვნელობა შუშაობის ლენინური სტილის ერთ-ერთი უფუძფდებელი ნიშანია. მრავალმხრივია მისი ფორმები ჩვენს ყოველდღიურ პრაქტიკაში, მაგრამ არსი ერთია. მომთხოვნელობა და მომკითხველობა იმისათვის გვჭირდება, რომ პარტიული ორგანიზაციების წინაშე დასახული ამოცანები დროზე, წარმატებით და აუცილებლად შესრულდეს, რომ მან ხელი შეუწყოს კომუნისტების წრთობას, ყველა მშრომელის კომუნისტურ აღზრდას, ყველგან და ყველაფერში დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებას, მოელი ჩვენი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას.

შრომან ივნისში მეცხრეტულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა თქვა:

„მომთხოვნელობა და კიდევ ერთხელ მომთხოვნელობა — აი მთავარი, რასაც ჩვენ, კომუნისტებს, გვიკარნახებს შექმნილი სიტუაცია. ცხოვრებით გამოცდა ყველაზე მკაცრი და უკომპრომისოა. დღეს ამ გამოცდას აბარებენ პარტია და მოელი კადრები".

დიახ, ვუახლოვდებით რა ლენინური პარტიის XXVII ყრილობას, რომელმაც ჩვენი ნინსელისა და შენების ფართო, ნათელი ორიენტირები უნდა დასახოს, ამკარად ვგრძნობთ, ვხედავთ უაღრესად ფრანდიოზულ ამოცანებს, რომელთა შესრულებისათვის ბრძოლაში მართლაც გამოცდა უნდა ჩაბარის ქვეყნის თითოეულმა კომუნისტმა, ყველა მშრომელმა.

მონინავე შრომითი კოლექტივების მაგალითები თვალნათლივ მოწმობს, თუ რაოდენ დიდი აღმზრდელობითი და პრაქტიკული ძალაა სიტყვისა და საქმის ერთიანობა, ყოველივე დათქმულ-დასახულის განსახორციელებლად ნამდვილი ორგანიზატორული შუშაობა, ადამიანებისადმი ნდობისა და პატივისცემის პარტიულ მომთხოვნელობასთან შეხამება. მაგრამ ამასთანავე ისეთი მაგალითებიც არის, როცა ზოგიერთი პარტიული კომიტეტი ადამიანებისადმი უნდობლობასაც იჩენს. ეს სამეურნეო შუშაკების მაგიერობაში, წარიდანი საკითხების გადაწყვეტილებანი, გულისხმობს პარტიული აპარატის შუშაკთა სულ უფრო მზარდ პასუხისმგებლობას სწორედ თავიანთი პოზიციისათვის, თავიანთი უშუალო მოვალეობისათვის — ორგანიზატორული, იდეურ-აღმზრდელობითი შუშაობის დონისათვის.

ნამდვილ პარტიულ პრინციპულობასა და მომთხოვნელობას იჩენს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც მოელი სიმკაცრით იბრძვის ცხოვრების ლენინური ნორმებიდან ყოველგვარი გადახრის, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის წინააღმდეგ. მოლო ხანს მკაცრ პარტიულ და სისხლის სამართლის პასუხისგებაში არიან მიცემული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივანი ს. ხაბეიშვილი, ყოფილი მინისტრი თ. ბადურაშვილი, პარტიის რაიკომების პირველი მდივნები ნ. ბუნუკური, ო. თენეიშვილი და სხვები. არავითარი შემწყნარებლობა იმათ მიმართ, ვინც გვდალატობს, ვინც არცხვენს პარტიელის სპეტაკ სახელს! — ასეთია სულ ახლახან დამთავრებული საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატთა ერთსულოვანი მოთხოვნა! ყრილობის ეს სულისკვეთება ჩვენი შრომისა და ყოფა-ცხოვრების ყველა უბანზე უნდა გადავიტანოთ, გავაუმჯობესოთ კონტროლი და ურთიერთკონტროლი.

და ეს ახლა გადაუდებლად საჭიროა. დასამალი როდია, რომ ჯერ კიდევ ზოგი პარტიული კომიტეტი ყურს იყრუებს და თვალს ხუჭავს წამატებების, სიყალბეების ფაქტებზე ან, აქაოდა, ზომები მიიღეთო, ყველას მოსაჩვენებლად დასასჯელად ერთ-ორ კაცს გაიმეტებენ ხოლმე, სხვები კი, ხშირად უფრო მეტად დამნაშავენი, „შრალზე" გამოპუავთ.

როცა პასუხისმგებლობაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება წარმოვიდგინოთ იგი რაღაც უსახელო, ზოგად ცნებად. პასუხისმგებლობა, მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, მუდამ პერსონალურია. მოშვებულობისა თუ არაორგანიზებულობის, გულარხეინობისა თუ ბიუროკრატიზმის, უყაირათობისა თუ სხვადასხვა დანაშაულის ყოველი ფაქტის მიღმა მუდამ კონკრეტული პირები დგანან. სწორედ ამიტომაც ყველას თავისი უნდა მიეზღოს, პასუხგაუცემელი არ უნდა დარჩეს იმის ცდები, რომ აიდგინონ პარტიული მომკითხველობის სამიზნე, ამოეფარონ უბადალებულ ობიექტურ მიზეზებს.

უფუოდ კომუნისტთა მომთხოვნელობის დონის ამაღლების შედეგია, რომ ამ უკანასკნელი საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს 76 ორგანიზაციის პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელის, პარტიუროს, კომიტეტის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეფასეს.

მაგრამ ჯერ კიდევ ბევრგან კომუნისტები, პარტიული კომიტეტები და ბიუროები პასიური მეჯვრეტელის, შორიდან მეთვალყურის როლში გამოდიან ხოლმე. ამიტომაც მათს შრომითს კოლექტივებში თავს იჩენს უფრო მეტი დარღვევა და დამახინჯება, ზოგჯერ სერიოზული დანაშაულიც. ქაოსი აღრიცხვაში, წამატებები, სახელმწიფო ქონების დატაცებაა ადგილობრივი მრეწველობის თერჯოლის მექანიკურ ქარხანაში. მოსალოდნელი იყო, რომ პარტბიურო პირველადი პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე თვითკრიტიკული მოხსენებით წარდგებოდა და გააანალიზებდა საწარმოს ჩავარდნის მიზეზებს, მაგრამ იგი გაექცა პასუხისმგებლობას. თუმცა კომუნისტებმა მაინც პრინციპულობა გამოიჩინეს და პარტბიუროს მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასეს.

ამასთან ხდება ისეც, როცა პარტიული ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობა ვერ იჩენს საჭირო მომთხოვნელობას. ასეთი ფაქტები იყო საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭოს, თბილისის უუსსაცლის ვაეროპიანება „ისნის" და რესპუბლიკის ზოგიერთი სხვა პარტორგანიზაციაში, სადაც წლის მთავარ კრებებზე, მიუხედავად მათს კოლეკტივებში გამოვლენილი სახელმწიფო ქონების დატაცების და სხვა ამბაშფოთებელი ფაქტებისა, არჩევითი პარტიული ორგანოების მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასეს.

რა თქმა უნდა პარტიული მომთხოვნელობა როდი ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ გავამკაცროთ სასჯელი, რომ აუცილებლად სამუშაოდან დავითხოვოთ კაცი უმნიშვნელო გადაცდომისათვის, უნებლიედ დაშვებული შეცდომებისათვის. მიზანი და ამოცანა ის არის, რომ ყოველთვის ობიექტურად, დაკვირვებით შევაფასოთ ესა თუ ის მოვლენა, ფაქტი, ნამდვილი მომთხოვნელობა ხელს როდი უშლის კეთილმოსურნეობას. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა შეამჩნიონ და აღნიშნონ კიდევ კომუნისტის, ამა თუ იმ მუშაკის წარმატებაც, უთხრან მას გამამხნევებელი, კეთილი სიტყვა. აღსანიშნავია ისიც, რომ კომუნისტის, შრომითი კოლექტივის ამა თუ იმ მუშაკის დასჯა პარტიულმა კომიტეტებმა პირველადი პარტორგანიზაციების გვერდის ავლით არ უნდა მოახდინონ. არადა, ასეთი ფაქტები ზოგან იყო.

უკანასკნელ წლებში ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში მტკიცედ დამკვიდრდა კომუნისტების, ხელმძღვანელი კადრების ატესტაციის პრაქტიკა. ღია პარტიული კრებები ისმენენ მათს ანგარიშებს და ამტკიცებენ პარტიულ დასახიათებებს. ეს მომთხოვნელობის გაძლიერების, პასუხისმგებლობის გაზრდის კარგი პრაქტიკაა. ოღონდ დიდი სიფრთხილეც არის საჭირო, რომ ფორმალიზმმა არ იჩინოს თავი, როგორც ეს, სამწუხაროდ, ზოგან მოხდა კიდევ — პარტიულ დასახიათებათა ტექსტები მეტად შაბლონურად, ზოგადი, არაფრისმაქმელი ფრაზებით შეადგინეს. კრებებზე, პარტიული კომიტეტების სხდომებზე კომუნისტების დასახიათებათა დამტკიცებას თვითმიზნური, კონვეიერული ხასიათი არ უნდა მიეცეს. აქ მთავარია აღმზრდელობითი მოქმედი.

ცნობილია: ისე არაფერი არ არყევს ნესრიგსა და დისციპლინას, როგორც გულგრილობა, წაყრუება, მოჩვენებითობა, დასახული მიზნის მიღწევის, მოღვაწეობის საბოლოო შედეგის, საქმის დაგვირგვინების ხელშემშლელი ფაქტორები. ისინი ფუხს ვერ იკიდებენ კარგ ზნეობრივ ატმოსფეროში, იქ, სადაც პატივს სცემენ კრიტიკასა და თვითკრიტიკას, დღენიადაგ იყენებენ შესრულების ქმედითი კონტროლისა და შემოწმების ნაკად მეთოდს. პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტორგანიზაციების ვალია ყოველდღიურად და ყოველნაირად სრულყონ, გაუუმჯობესონ ამ მეტად ცოცხალი და პასუხსაგები მუშაობის სტილი.

მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის — სკკპ XXVII ყრილობის წლის მასშტაბურ ამოცანებს თავი რომ გავართვათ, უნდა გამოვიჩინოთ სწორედ მეტი მომთხოვნელობა და მომკითხველობა, დიდი ორგანიზებულობა. დიე მოელი ახალი, მეთორმეტე ხუთწლედი ჩვენი ყველა შრომითი კოლექტივისათვის, თითოეული პირველადი პარტიული ორგანიზაციისათვის განსაკუთრებული შემართების, დიდი შემოქმედებითი ენერგიის, ხარისხიანი შუშაობის ხუთწლედად გადაიქცეს!

დამკვრელურად დაიწყეს მეთორმეტე ხუთწლედი წითელწყაროს რაიონის მშრომელებმა. იანვარში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მათ სახელმწიფოს თითქმის სამასი ტონით მეტი რძე მიაყიდეს. ნაწველმა თითოეულ ძროხაზე 15 ლიტრით მომატა. ამას მიაღწიეს იმის შედეგად, რომ ფერმებში საკმარისად აქვთ მრავალფეროვანი და ცილის უხვად შემცველი საკვები.

მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტია

გამოზამთრება: რა ახდენს ზემოქმედებას ნაწველზე?

მეცნიერთა რეკომენდაციებით რაიონის მეურნეობებში მნიშვნელოვნად გააფართოეს მოსავლიანი ერთწლოვანი და მრავალწლოვანი საკვები კულტურების — სუდანური, იონჯის, ესპარეტის, აგრეთვე სასილოსე სიმინდის ნთესლები. ზოგიერთმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ საკვებ სავარგულებზე ორ-ორი მოსავალი მოიწიეს და ამის შედეგად მთლიანად უზრუნველყვეს პირუტყვი უხვში და ზვნიანი საკვებით. მარშან რაიონში პირობით სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე საგებგმო 16 ცენტნერის ნაცვლად დაამზადეს 17,4 ცენტნერი საკვები ერთეული, პირუტყვის ულუფაში შედის თივა, ნამჯა, სენაჟი, სილოსი, ძირხვენები. ჭმევის წინ საკვებს აქუცმაცებენ. ამუშავებენ ორთქლზე, ამდიდრებენ კონცენტრატებითა და კომბინირებული საკვებით, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მის ყუთიანობას.

განსაკუთრებით მაღალ შედეგებს მიაღწიეს ჯაფარიძის, გამარჯვების კოლმეურნეობების მეცხოველეებმა. მაგალითად, ჯაფარიძელებმა მარტო იანვრის განმავლობაში რძის წარმოება 48 ტონით გაზარდეს. საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია სოციალისტური შრომის გმირმა ზ. ალხანიშვილმა, რომელმაც თითოეულ ძროხაზე 260 ლიტრი რძე მიიღო.

— ფერმების უკუგება მეტიც შეიძლებოდა ყოფილიყო, — ამბობს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილის შემსრულებელი შ. თეთვაძე, — მაგრამ საწვავით ურიგო მომარაგების მიზეზით ფერხდებოდა რვა საკვები საამქროს შუშაობა, რამაც დაუყოვნებლივ მოახდინა გავლენა წველადობაზე.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს რესპუბლიკის სახაგრომრეწვში უთხრეს, პირუტყვის გამოზამთრება წარმატებით მიმდინარეობს დმანისს, სიღნაღის, ბოგდანოვკის რაიონების, აფხაზეთის ას რესპუბლიკის მეურნეობებში. ამავე დროს შემცირდა რძის წველადობა მახარაძის რაიონში.

სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად

შაბათობა გვიხმობს

● ** კასპი.** (საკ. კორ.) ცემენტშიფერის კომბინატის მშრომელებმა გადაწყვიტეს 15 თებერვალი — კომუნისტური შაბათობის დღე — უმაღლესი შრომის ნაყოფიერებით აღნიშნონ.

ამ დღეს გამოუშვებენ 56 ათასი მანეთის პროდუქციას, ოთხი ათასი მანეთით მეტს, ვიდრე ჩვეულებრივ. 2470 ტონა ცემენტი და 130 ათასი პირობითი ფილა შიფერი გაიგზავნება რესპუბლიკის სამშენებლო ობიექტებზე. დაიტვირთება და გადმოიტვირთება 51 სარკინიგზო ვაგონი, მეგროვდება 15 ტონა ჯართი, ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება 1.000 მანეთი.

● **დმანისი.** (საკ. კორ). მოწინავე მეცხოველეთა გადაწყვეტილებაა სკკპ XXVII ყრილობის აღსანიშნავი კომუნისტური შაბათობის დღეს შეასრულონ სახელმწიფოსათვის რძის მოყიდვის ორი თვის დავალება. ამასთან ამ დღეს გეგმის გადაჭარბებით მოწველონ სულ ცოტა 250 კილოგრამი საბანისო ცხიმიანობის რძე.

კომუნისტური შაბათობის დღე შრომითი აღმავლობით აღინიშნება მეურნეობა-კომპლექსის სხვა ქვეგანაყოფებშიც. ამ დღეს მიხდერად გაიტანენ ას ტონაზე მეტ ნაკელს.

შრომას ხარისხი ამკობს

თბილისის სართავი ფაბრიკის კოლექტივი ყველაფერს ღონობს პარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. სოციალისტურ შეჯიბრებაში კარგ შედეგებს აღწევს აქ მომუშავეთა უმეტესობა. გარკვეული წარმატებებია მოპოვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

სურათზე: სახვევი საამქროს მხვეველი ელენე ჯინჭველიშვილი ერთ-ერთი საუკეთესოა თავის პროფესიაში, აქტიურად მონაწილეობს ფაბრიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ა. საპაკოვის ფოტო.

სკკპ XXVII ყრილობის დელეგატები

წინ მთელი ცხოვრებაა

სად არის ახლა ლევან თედიაშვილი? რას აკეთებს? — ხშირად გაიგონებთ ამ შეკითხვებს. ვიდრე პასუხს გავცემდეთ შეკითხვაზე, მანამდე ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ მასზე, როგორც მოჭიდავეზე.

ხუთგზის მსოფლიო და ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა იმ დღეს ჩემპიონობაზე ნაკლები სახელი როდი მოიხვეჭა; ეს მოხდა შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს, როცა მან ირანის შაჰს ფეხებთან გაუგორა მისი საყვარელი ფალავანი. მსაჯებმა გამარჯვება არ ჩაუთვალეს. ირანის შაჰის სახელობის ტურნირი ღია ცის ქვეშ, უზარმაზარ სტადიონზე გაიმართა. მაყურებელი ერთთავად ფეხზე იდგა, მაგრამ არავითარი ხმაური არ ისმოდა, პირიქით, კაცი ბუზის გაფრენის ხმასაც კი გაიგონებდა. ლევანმა ისევ ბეჭებით გააკრა ხალიჩაზე შაჰის ფალავანი და წამოიმართა თუ არა, წაიდუდუნა: არც ახლა?!

ახლა კი... მართლაც, სად არის ახლა ლევან თედიაშვილი? მან, როგორც ფალავანმა, ერთი ვრცელი და ერთობ საინტერესო ცხოვრება გაიარა. მისთვის დაიწყო მეორე ცხოვრება, მამაპაპეული, ძველთა-ძველი. იგი მშობლიურ საგარეჯოს რაიონში კაკაბეთის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის" თავმჯდომარეა. თავისი წინაპრებივით ხნავს, თესავს, უვლის ვაზს. ამ კაცს ბედმა ორი ცხოვრება არგუნა. თუმცა, რაღა თქმა უნდა, რომ ფალავნობაშიც ლევანი იყო და კოლმეურნეობის თავმჯდომარედაც ლევანი შრომობს. ისევ ჯაბუკური გულით და მოწადინებით, ოღონდ უფრო ჭკუადამჯდარი კაცის გონებით ზომავს და წონის სათქმელს და საკეთებელს.

სპორტიდან რომ წავიდა, ზოგზოგებივით რესტორნის, სასადილოს, ან მაღაზიის გამგის საკარელი არ უძებნია. იოლი გამარჯვება ხალიჩაზე არ უძებნია და ეს ხასიათი ბოლომდე გაჰყვება. იოლი გზით გამდიდრებას არც ახლა ფიქრობს, იცის რაც არის თავმჯდომარეობა.

კაკაბეთში უმალ შეიტყვეს, რომ ახალი თავმჯდომარე თავის წინამორბედებს არაფრით არა ჰგავდა. იგი როგორღაც სხვაგვარად მუშაობდა, საქმესაც ახლებურად უდგებოდა.

რამდენიმე დეტალი მისი ახალი ცხოვრებიდან: ადრიანი გაზაფხული იყო. სოფლად მოძალებულ სამუშაოზე მუშახელი არ ჰყოფნიდათ. ახლომა თავმჯდომარემ კი სასმელი წყლის გაყვანა დაიწყო.

— აბა, ახლა მაგის დრო არის?!

— ჰკვირობდნენ ზოგ-ზოგნი.

— სოფელში სამუშაოს რა გამოლევს, ზაფხულში და შემოდგომაზე ნაკლები ჯაფა როდი დადგადგება. ზამთარში კი სასმელ წყალს ვერ გავიყვანთ, — თავის აზრზე იდგა თავმჯდომარე. — თანაც, აბა შეხედეთ, ეს თქვენ არაფერს გეუბნებათ? — მიუთითებდა საცოდავად მოწანწკარე ერთადერთ წყაროსთან თაფმოყრილ დისასახლისებზე. — ეგენი სახლებში წყალს როდის მიიტანენ და მერე როდის წავლენ სამუშაოზე? გამოვიყვანოთ ეს წყალი და ერთხელ და სამუდამოდ მოვისვენებთ. მე რომ მკითხოთ, შრომის ნაყოფიერების გაუმჯობესება სასმელი წყლის გაყვანით უნდა დავიწყოთ, — ჯიუტად ამბობდა თავმჯდომარე. ერთხელ კი გაჯავრებულ ეთქვა, „იარღის გალესვა რეგვენს დროის დაკარგვა ეგონაო".

მთავარი საზრუნავი კი, რა თქმა უნდა, თავმჯდომარეს დაწვა. რამდენი რამ იყო გასაკეთებელი! მაგრამ მაინც ყველაფერს აუდიოდა, თითქოს ხელიც ეწყობოდა, უამრავი ნაცნობ-მეგობრები ჰყავდა. პროექტიც დროზე და პირიანად გააკეთებინა, სათავე ნაგებობაც გულიანად გამართა, მილებიც აშოვა. რამდენ ხელმძღვანელს ვიცნობთ ისეთს, თითოეულ უბადრუკ ნაცნობობას რომ პირადი კეთილდღეობისათვის იყენებს. ლევანი კი სოფლისთვის, კაკაბეთისთვის, კაკაბეთელებისთვის ირჯება. ერთი ძალა აქვს სხვებისგან განსხვავებული და ბევრისათვის შეუმჩნეველი. გარშემომყოფთ ძალიან ადვილად უნერგავს ხოლმე საქმის გამარჯვების რწმენას.

ყოფილ სპორტსმენებს მეტი ნდობა უნდა გამოგვიცხადონ, სხვაგვარად არ შეიძლება. უნდა შეგებრძოლოთ იმ მავნე პრაქტიკას, როცა ზოგიერთებს ჰგონიათ, სპორტსმენისაგან ბევრი არაფერი გამოვა, ისევ სპორტში უნდა იტრიალოსო. რამდენს ვიცნობთ, მსოფლიო ჩემპიონიც იყო და ოლიმპიური ჩემპიონიც, მაგრამ მწვრთნელად ვერ ვარგობს, მაინც ამ საქმეში ვიყენებთ. ბოლოს და ბოლოს, საკითხისადმი ასეთი მიდგომით სპორტივე ზარალდება. მჯერა, რომ ლევან თედიაშვილი სამეურნეო საქმეებშიც სახელოვანი იქნება.

ლევან თედიაშვილის დღევანდელ ცხოვრებაში უთუოდ საინტერესოდ ჩაერია პარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი მედეა მეზვრიშვილი. მას საერთოდ ასეთი ჩვევა აქვს, საგარეჯოდან წასულებს უკან მოუხმობს ხოლმე: როცა შეგიძლიათ, მშობლიურ კუთხეს, მშრომელებს ახლა უნდა გამოადგეთ, რომ სიბერეში აქ მობრუნებისა არ შეგრცხვეთო, ამბობს ხოლმე რაიკომის მდივანი. ლევანი ჯერ საგარეჯოს მეევნახეობის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობდა პარტიული ორგანიზაციის მდივნად. როგორც იტყვიან ხოლმე, „საქმეში ჩაიხედა" და კოლმეურნეობის თავმჯდომარე ისე გახდა.

როგორი სამეურნეო წუშაკია ლევან თედიაშვილი? ამ კითხვის პასუხად გამოგვადგება ის საქმეები, რომელთა გაკეთება უკვე მოასწრო ახალმა თავმჯდომარემ. ახალმა იმიტომ, რომ ჯერ ორი წელიწადიც არ გასულა, რაც ლევანი „წითელ ოქტომბერს" ჩაუდგა სათავეში. ეს პერიოდი კი ერთობ მცირე დროა საზოგადოებრივი მეურნეობის სრული აღმავლობისათვის. ისე, „წითელმა ოქტომბერმა" პირველსავე წელს შეასრულა ყურძნის, მარცვლეულის, ხორცის, რძის წარმოების გეგმები. ლევანის მოსვლისას კოლმეურნეობის ვენახები ერთობ მეჩხერი იყო. მას შემდეგ გამუდმებით შრომობენ ვაზის რგვიზე, გადაწვენაზე. მედეგები კარგი აქვთ, მაგრამ გასაკეთებელიც ბევრი დარჩა.

ლევანის თაოსნობით შეიქმნა მეცხოველეობის ფერმაში ახალგაზრდული რგოლი. სკოლადამთავრებული გოგონები ძროხებს უკვე უფროსებზე კარგად უვლიან, რძის წარმოების გეგმებსაც ასრულებენ. თავმჯდომარე მათს ხვალინდელ დღეზე რომ ფიქრობს, ეს მომავალი ამგვარად ესახება: შრომობენ და სწავლობენ ყაკაბეთელი ახალგაზრდები.

თავმჯდომარე უყვართ სოფელში. უყვართ ჩვეული სიალალითა და გულკეთილობისათვის. იმიტომ, რომ ლევანი თითოეულ კოლმეურნეზე ზრუნავს. მარტოხელა ქალია მანო ოთიაშვილი, არავინა ჰყავს, რაც თავი ახსოვს, კოლმეურნეობაში შრომობს. თავმჯდომარემ მოიფიქრა, გამგეობამ მხარი დაუჭირა და ამაგდარ კოლმეურნეს სახლი აუშენა.

მაშ, უკვე ვიცით, რომ ლევან თედიაშვილი ახლა შობლიურ საგარეჯოს რაიონშია. ვიცით, რომ კაკაბეთის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის" თავმჯდომარეა. მისთვის მართლაცდა მეორე ცხოვრება დაიწყო. როგორი იქნება იგი ყოფილი ფალავნისათვის? იმედი გვქონდეს, რომ, ალბათ, საიმედო და სახელოვანი.

ლევან თედიაშვილი დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის დელეგატია. ახალ სარბიელზე ეს დიდი დაფასებაა. ეს ერთი და... მთელი ცხოვრება ხომ წინ არის!

ჯ. ჟურხული.

სურათზე: ლ. თედიაშვილი.

არჩეული არიან პირველ მდივნებად

გაიმართა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა მორიგი ყრილობები. ორგანიზაციულ პლენუმებზე პირველ მდივნებად არჩეული არიან:

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა — **ვ. ვ. შჩერბიცკი,** ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა — **დ. ა. კუნაევი.**

ვიაროთ წინ, ვიბრძოლოთ მეტის მისაღწევად

აფხაზეთის ასს რესპუბლიკას გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა

საგზოთა აფხაზეთი მილოცავს იღებს. მისი კომუნისტების, ავტონომიური რესპუბლიკის, ყველა შრომელის თავდადებული გარჯა, შემოქმედებითი ენერგია და შრომითი ენთუზიაზმი ზედიზედ მეხუთედ დაგვირგვინდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მორიგი გამარჯვებით. ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1985 წლის გეგმისა და მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულების, სკკპ XXVII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის აფხაზეთის ასს რესპუბლიკას მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

სამშობლოს ამ საპატიო ჯილდოს გადაცემას მიეძღვნა სოხუმში 8 თებერვალს გამართული პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელშიც მონაწილეობდნენ ავტონომიური რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები. აქ შეიკრიბნენ სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი, წარმოების მოწინავენი და ნოვატორები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, ისინი, ვინც ქარხნის საამქროებსა და საწარმოებში, მინდვრებსა და პლანტაციებში, მეცნიერულ ლაბორატორიებში ჭედდა გამარჯვებას გასულ ხუთწლედში.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, ვ. ი. ალავიძე, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, სახელგანთქმული შრომის ვეტერანები და ხუთწლედის გვარდიელები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ვ. ადლეიბამ.

სიტყვა ეძლევა **საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ჯ. ი. პატიაშვილს.** მან თქვა:

დღეს საბჭოთა აფხაზეთში დიდი შრომის დღესასწაულია: საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას კიდევ ერთხელ, ამჯერად უკვე სამუდამოდ დადაეცემა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

აქ, ამ დარბაზში არსებითად მშრომელი აფხაზეთის მშვენება, მისი საუკეთესო ადამიანები შეკრიბნენ. ეს საშუალებას მაძლევს კიდევ ერთხელ სულითა და გულით თქვენისა მადლობა გადავუხადო ავტონომიური რესპუბლიკის სახელოვან მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, მის ნიჭიერ ინტელიგენციას, მოსამსახურეებს, ქალებს, ახალგაზრდობას, სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს, რომელთა ერთობლივი გარჯითაც შეიქმნა ყველა ის მატერიალური და სულიერი დოვლათი, რომლითაც ესოდენ მდიდარია დღეს ჩვენი მზიური აფხაზეთი!

საქართველოს მშრომელები გულწრფელად ამაყობენ საბჭოთა აფხაზეთის ბოლო წლების წარმატებით, დიდად აფასებენ მის მიღწევებს ეკონომიკისა და კულტურის დარგში, პარტიული მშენებლობის სფეროში და სამართლიანად იზიარებენ მათ. აფხაზეთის საოლქო პარტორგანიზაცია ყველა საქმეს და მიღწევაში საქართველოს კომპარტიის მოწინავე რაზმად გვევლინება.

აფხაზეთის კომუნისტთა დიდი შრომითი გამარჯვების ამბავი, თქვა ამბ. ჯ. ი. პატიაშვილმა, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მუშაობის დღეებში შევიტყვეთ. ამ ცნობამ ააღელვა ყველა დელეგატი, რომლებმაც ეს წარმატება რესპუბლიკის კომუნისტთა ფორუმის ღირსეულ სიხარულად მიიჩნიეს. ყრილობის ყურადღების ცენტრში იყო კომუნისტთა შემოქმედებითი აქტიურობის გადიდების, ადამიანის ფაქტორის ყოველმხრივი გაააქტიურების, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების პრობლემები, ამ სიტყვის ფართო გაგებით. გაიმართა უაღრესად მწვავე, კონსტრუქციული, საქმიანი სკკპ-ბაასი. აფხაზეთის კომუნისტებმაც საქმით დაუჭირეს მხარი ასეთ მდგომარეობას, ტონი მისცეს ახალ, მტაცეცი სტატუს მეთორმეტე ხუთწლედში, რომელსაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში.

ჩვენ წილად გვხვდა ბედნიერება ვიცხოვროთ და ვიშრომოთ ისტორიის მტად პასუხსაგებ. პოლიტიკურად დამუხტულ მონაკვეთში, რომელიც, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, ბევრ რამეში გარდამტეხი ხასიათისაა, როცა გვჭირდება უაღრესად დიდი ორგანიზებულობა, დარაზმულობა, მიზნის სიცხადე, როცა დაუშვებელია თვითდამშვიდების უმცირესი ელემენტებიც კი. ორ კვირაზე ოდნავ მეტი დარჩა სკკპ XXVII ყრილობის გახსნამდე, რომლის ეტაპობრივი მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, რომ ქვეყნის განვითარების ძირითად მიმართულებებთან ერთად, მან უნდა განიხილოს და დაამტკიცოს სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის, აგრეთვე სკკპ წესდების ცვლილებათა პროექტები. ამრიგად, საქმე ეხება ჩვენი პარტიის საპროგრამო მიზნების, მისი სტრატეგიისა და ტაქტიკის დაზუსტებას. თითოეული პარტიული ორგანიზაცია, თითოეული კომუნისტი მოწოდებული არიან თავიანთი წვლილი შემატონ ამ ისტორიული მნიშვნელობის საქმეს.

რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, განსაკუთრებით ბოლო ხანს, ყურადღებას არ აკლებდა ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მისი სულიერი კულტურის ზრდის, ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების თანამიმდევრული სრულყოფის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს. ამ ყურადღებამ. ზრუნვამ, კეთილმოსურნე, კონსტრუქციულმა მიდგომამ შესაძლებელი გახადა მუშაობისა და ურთიერთობის ნამდვილად საქმიანი სტილის, ურთიერთპატივისცემისა და კოლეგიურობის გამოშუავება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს განზრახული აქვს კვლავაც განავით

ვიპარლოთ წინ, ვიბრძოლოთ მეტის მისაღწევად

(დასასრული)

პერსპექტივები. ოჩამჩირის რაიონში ჩამოყალიბდა საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის ახალი აგროსამრეწველო კვანძი.

მეურნეობრიობის გადიდებულმა მასშტაბმა ხელი შეუწყო კადრებისათვის თანამედროვე ეკონომიკური აზროვნების ჩანერგვას, ხელმძღვანელობის სტილის არსებითს გაუმჯობესებას. მაგალითად, კინდღლის მეფრინველეობის ფაბრიკა უკვე წლეულს აწარმოებს 11 ათას ტონა ხორცს, ანუ იმდენივეს, რამდენიც მთელმა აფხაზეთმა აწარმოა 1978 წელს. ქარხანა „სოხუმხელსაწყოს“ ბაზაზე შექმნილ საწარმოო გაერთიანება „ორგტექნიკაში“ ინერგება რიცხვული პროგრამული მართვის ჩარხები, რობოტები, მანიპულატორები, სხვა პროგრესული ტექნიკა. და სავსებით კანონზომიერია, რომ რაულ რაქიენის ძე ეშბა და ალექსანდრე ივანეს ძე მინაძე — ამ საწარმოთა მეთაურები — გამოცდილი, ახალი ტიპის ხელმძღვანელები არიან, რომელთაც თანამედროვე კატეგორიებით აზროვნება შეუძლიათ.

აფხაზეთში დღეს ცოტა რომია სხვა ისეთი საწარმო და წარმოება მეთაური, რომელთა გამოცდილებაც მთელი ჩვენი რესპუბლიკის კუთვნილება ხდება.

არა მარტო აფხაზეთსა და მთელ საქართველოში, არამედ ქვეყნის მასშტაბითაც უნარიანი მეურნეობრიობის თვალსაჩინო მაგალითია გალის რაიონის სიდის მ. ცხაკაიას სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშაობა, რომელსაც აერონომიერ რესპუბლიკასთან ერთად მიენიჭა საპატიო ჯილდო — სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. დიდი პროფესიული გამოცდილებთ, უნარით ჩასწვდნენ ადამიანების სულს, წინ გაუძღვნენ მათ, სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს ამ საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა მიხეილ დიტოს ძე გეგენავამ, კოლმეურნეობების წინამძღოლმა ოჩამჩირის რაიონის სოფელ აგუბედიას კოლმეურნეობა „ოფსნი ყაფშის“ თავმჯდომარემ ილარიონ ჩაგუს ძე შაკაიამ, ფუდუთის რაიონის სოფელ დურიფშისა და ახალსოფლის ორკონიკიძის სახელობის კოლმეურნეობების თავმჯდომარე ე ბ მ ა ივანე ხაშიმის ძე ტარკილმა და დავით გიორგის ძე გოგობერშვილმა, ქალაქ გაგრის ზონის სოფელ ალაბაძის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სურენ აკოფის ძე უსტიანმა და გაგრის საბჭოთა მეურნეობა-კომბლეჭსის დირექტორმა ვასილ რომანის ძე ძნელაძემ, ავტონომიური რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა ხელმძღვანელებმა.

ვინ არ იცნობს სახელგანთქმულ მეჩაიეებს ოჩამჩირელ ლუბოვ კასლანძიას და გალელ იამზე შამუგიას, სოხუმის რაიონის მეთაობაქოეს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ალვართ ბუიუკლიანს და ასობით სხვა სახელოვან სოფლის მშრომელს. სწორედ ასეთი ადამიანები ჰყავდა მხედველობაში მ. ს. გორბაჩოვს, როცა ლაპარაკობდა ადამიანის ფაქტორის უდიდეს რეზერვების შესახებ. აფხაზეთში ბევრი ასეთი რეზერვია. ისინი რესპუბლიკის, მთელი ჩვენი ქვეყნის ოქროს ფონდს შეადგენენ.

კადრების სამეურნეო აზროვნების დონის ამაღლებას, ყველა საკითხისა და პრობლემის გადაჭრისადი შემოქმედებით მიდგომას მოწმობს აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე ეკონომიკური ექსპერიმენტები, ბევრი სხვა სასრგებლო თაოსნობა. ეს ტენდენციები ყოველმხრივ უნდა წავახალისოთ და განვავითაროთ, ვიღვაწოთ იმისათვის, რომ სიტყვა და საქმე ერთი იყოს.

შემთხვევითი როდია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და ოქტომბრის პლენუმების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ყველა პარტიული ორგანიზაციისადმი ის არის, რომ მტკიცედ განაახლონ ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები, იღვაწონ ყველგან შემოქმედებითი ინიციატივის, ნოვატორობის ზრდისათვის, ამავე დროს მკვეთრად გააძლიერონ კადრების პასუხისმგებლობა და წინა პლანზე დააყენონ დისციპლინის შემდგომი განმტკიცების საკითხები. ეს თითოეულ ჩვენგანს ავალებს მეტი მომთხოვნელობით ვუდგებოდეთ წარმატებებს, მეტ პრინციპულობას ვიჩენდეთ საკუთარი საქმეების შეფასებაში. ამიტომ სადღესასწაულო და საზეიმო ვითარების მიუხედავად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა მთელი პრინციპულობით ილაპარაკა აგრეთვე ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს, იმაზე, რომ გულმოდგინედ უნდა ვიმუშაოთ მათი აღმოფხვრისათვის.

მაგალითად, ვერ შესრულდა პარტიისა და მთავრობის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ აფხაზეთის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა ცალკეული პუნქტები. და თუმცა ვინმეს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ეს არცთუ ისე შესამჩნევია ყოველივე იმის ფონზე, რაც გაკეთდა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1985 წლის 25 თებერვლის დადგენილებით განსაზღვრეს ჯერ კიდევ განუხორციელებელ ღონისძიებათა შესრულების ახალი ვადები.

აფხაზეთის მინისტრთა საბჭომ უნდა დააჩქაროს მათი შეთანხმება რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან, რათა მეთორმეტე ხუთწლედში ეს მუშაობა გეგმად საფუძველზე წარმართოს.

მიზანშეწონილია ზოგიერთი ღონისძიება გაითვალისწინონ მეთორმეტე ხუთწლედში სოხუმის საქალაქო მეურნეობის განვითარებისა და კეთილმოწყობის ფესვებ რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების დადგენილებამიც, რომლის პროექტს ამჟამად უთანხმებენ შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს. მისი რეალიზაცია მოითხოვს პარტიის საოლქო კომიტეტისა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის უმაცარეს კონტროლს. სოხუმი სანიმუშო სამხრეთული კურორტი უნდა გახდეს, მაქსიმალურად უნდა შეესაბამებოდეს ატონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური, კულტურული და ადმინისტრაციული ცენტრის მოთხოვნებს.

ამავე დროს პარტია მოითხოვს უზრუნველვყოთ დაბანდებული სახსრების ეფექტიანი უკუგება, მათი ოპტიმალური გამოყენება. საზოგადოების ახალი თვისებრივი მდგომარეობის მიღწევა უწინარეს ყოვლისა გულისხმობს მუშაობის თვისებრივად ახალ დონეს, მეურნეობრიობის კარგი თვისებრივი მაჩვენებლების უზრუნველყოფას. სწორედ ასეთი ამოცანა დაგვისახა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობამ. მისი გადაწყვეტისათვის საფუძვლად უნდა დავეუფლოთ ძირითად ეკონომიკურ კატეგორიებს, უზრუნველყოთ შრომის ნაყოფიერების დინამიკური ზრდა, გავაუმჯობესოთ ფინანსური მაჩვენებლები, შევამციროთ დანახარჯები, აქტიურად გამოვიყენოთ ეკონომიკური ბერკეტები და სტიმულები, ავამაღლოთ საგეგმო, საწარმოო დისციპლინის დონე.

მეთერმეტე ხუთწლედში პროდუქციის გამოშვების გეგმები მთლიანად 94 მილიონი მანეთით შემცირდა. სამშენებლო ორგანიზაციებმა ვერ აითვისეს 70 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდებანი და ვერ ამოქმედეს 80 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები. მკვეთრად უნდა გავაუმჯობესოთ საბინაო-სამოქალაქო და საკურორტო დანიშნულების ობიექტების გეგმები, განსაკუთრებით საცხოვრებელი სახლების ხარისხი.

ბევრი გამოუყენებელი რეზერვია სოფლის მეურნეობაშიც. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება მიწათმოქმედების კულტურას, რომელიც ჯერჯერობით არ არის საკმარისი და არ შეესაბამება აფხაზეთის ხელსაყრელ კლიმატურ პირობებს. ძირითადი კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა ჩამორჩება საშუალო რესპუბლიკურ დონეს. ვერ შესრულდა პამიდვრის, კიტრისა და სხვა ბოსტნეულის დამზადების გეგმები. ყურადღებას იჭყრობს ხორცისა და რძის წარმოების სისტემატური გაძვირების ტენდენცია. საკურორტო სპეციფიკის გათვალისწინებით კი, ხაზგასმით აღინიშნა ჯ. ი. პატიაშვილმა, უპირველესი ყურადღება სწორედ ამ დარგების განვითარებას უნდა დავუთმოთ. უკვე უახლოეს დროში უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ავტონომიური რესპუბლიკა დამოუკიდებლად აკმაყოფილებდეს თავის მოთხოვნილებებს მეტწილ სახეობათა ბოსტნეულზე, გავზარდოთ პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობა.

საოლქო პარტორგანიზაციის, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიკავოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების პრობლემებმა, თანაც ამ სიტყვის ყველაზე ფართო მნიშვნელობით. საქმე ცალკეულ სამეცნიერო ნამუშევრებს კი არა, არამედ წარმოების საერთო დონეს ეხება, იმას, თუ რამდენად შეესაბამება იგი თანამედროვე მოთხოვნებს, რაც გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპის დაჩქარებაში. მაგალითად, დიდ შესაძლებლობებს გვისახავს მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ინდუსტრიული ტექნოლოგიების დანერგვა, რომლებიც სხვადასხვა დარგში მნიშვნელოვანი შრომითი რესურსების გამოთავისუფლების საშუალებას ქმნიან, რასაც აფხაზეთის პირობებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საკურორტო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომ გაფართოებასთან დაკავშირებით.

საკურორტო რესურსებმა — აფხაზეთის უნიკალურმა სიმდიდრემ, რომელიც ჩვენი ქვეყნის კუთვნილებაა, იგი უდიდეს საკავშირო ჯანმრთელობის ცერად გადაიქცია. შავი ზღვისპირეთის სანაპიროს, მათ შორის აფხაზეთის ასს რესპუბლიკის საკურორტო ზონის განვითარების არსებით ღონისძიებებს ამჟამად განიხილავენ საკავშირო ორგანოებში. ამასთან უნდა ვიზრუნოთ იმისთვისაც, რომ ყველა ჯანმრთელობის კერაში დაბერდეს სანიმუშო წესრიგი როგორც მშრომელთა მომსახურების მხრივ, ისე სამეურნეო-ეკონომიკური მუშაობის დაყენების თვალსაზრისით.

ბოლო დროს სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება გახდა დარგობრივი და დარგთშორისი კომპლექსების ჩამოყალიბება. აფხაზეთში არსებითად იქმნება დიდი საკურორტო-ტურისტული კომპლექსი, რომელიც გადაიქცევა სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვან დარგად, და ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ მისი დინამიკური პროპორციული განვითარებისათვის.

უსაზღვრო დამსვენებელთა მომსახურების საინტერესო გამოცდილება შეიძინეს გაგრისა და სოხუმის გაერთიანებებმა. ერთი არასრული წლის განმავლობაში ფირმები „დასვენება“ და „სერვისი“, რომლებიც სამეურნეო ანგარიშის პრინციპით მოქმედებენ, მოემსახურნენ ასოათასობით კაცს და მილიონი მანეთი წმინდა მოგება მიიღეს. ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე ხმარდება ქალაქების კეთილმოწყობასა და საქალაქო მეურნეობის განვითარებას. მომავალში აქ საერთოდ აღარ გამოიყენებენ სამეურნეო ანგარიშებს. ეს უდიდესი მნიშვნელობის საქმეა, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს გამოცდილება შეიძლება გამოვიყენოთ რესპუბლიკის სხვა საკურორტო ზონებშიც. ამიტომ საჭიროა მტკიცედ წაგწიოთ იგი წინ, მივაღწიოთ პრობლემებისადმი კომპლექსურ მიდგომას, გავაუმჯობესოთ მთლიანად საკურორტო ქალაქების სახე.

მეურნეობრიობის გაზრდილი მასშტაბი მთელ რიგ სხვა პრობლემებსაც აყენებს. არ შეიძლება, მაგალითად, დავუშვათ, რომ სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა იზრდებოდეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და სხვა მნიშვნელოვანი ტერიტორიების ხარჯზე. აქ საჭიროა შესაბამისი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყველაზე პრინციპული პოზიცია.

ეს ეხება აფხაზეთის თვალწარმტაცი ბუნების დაცვის შემდგომ გაუმჯობესებასაც, ბუნებისა, რომლითაც ჩვენ ასე ვამაყობთ და ვტკბებთ. ამავე დროს, ზოგიერთი რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანო ინერტულობას, პასიურობას იჩენს. მაგალითად, არ შეიძლება არ შეგვაშფოთოს შავი ზღვისპირეთის მარგალიტის — რიწის ტბის ბედმა. მიღებულია კარგი გადაწყვეტილებანი, ბევრ რამეს აკეთებენ ზემდგომი ორგანოები. ამ დროს კი ზოგიერთი მუშაკის უპასუხისმგებლობის გამო ტბა ეუქაყიანდება ნავთობპროდუქტებით, რომლებსაც გამოყოფენ სასეირნო კატარღები, ჩამდინარე წყლებითა და საზოგადოებრივი კვების კომბინატის საყოფაცხოვრებო ნაგვით. ზოგი მატერიალური გამორჩენის საკითხებს ამ საოცარი კუთხის პირველქმნილი სახით შენარჩუნების ინტერესებზე მაღლა აყენებს. როგორ შეიძლება გვერდი აუარო ასეთ საკითხებს! საქმე ხომ მშობლიური მხარის ფასდაუდებელ სიმდიდრეს, მის მომავალს ეხება.

დავიცვათ და ვამრავლოთ ხალხის მონაპოვარი, მისი სულიერი ღირებულებანი — ეს ჩვენი საერთო საქმეა, ეს უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამუშაოა. როცა მას პრაქტიკულ საფუძველზე ვეწევით, საჭირო ხდება თანამშრომლობა, კოლეგიური მიდგომა ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტისადმი.

გვაბარებს ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერთა დიდი და ნაყოფიერი საქმიანობა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან და აკადემიის დაწესებულებების სამეცნიერო კოლექტივებთან მჭიდრო თანამშრომლობით ფართოდება აფხაზეთის ხალხური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. ეს ეხება ენის, ლიტერატურის, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ეკონომიკის შესწავლის დარგში.

ჩვენ გულწრფელად გვახარებს, თქვა ორატორმა, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩამოყალიბების პროცესი, რომლის განვითარებასა და განმტკიცებას უდიდესი ყურადღებით ეკიდებიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა. მუშადგება უნივერსიტეტის ახალი კომპლექსის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 20 მილიონ მანეთზე მეტია. განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩამოყალიბება მიმდინარეობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მჭიდრო კონტაქტით, რომ იგი ბოლო დროს აფართოებს კავშირს წარმოებასთან, სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებთან, კერძოდ, სოხუმის ფიზიკა-ტექნიკურ ინსტიტუტთან, სოხუმის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტთან და ა. შ.

ჯეროვანი ყურადღება ექცევა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტს — ასეთი პროფილის ერთადერთ უმაღლეს სასწავლებელს ქვეყანაში, რომლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მნიშვნელობა სახალხო მეურნეობისათვის განუხრელად იზრდება.

ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერ, შემოქმედ ინტელიგენციას სულ უფრო მეტი წვლილი შეაქვს აფხაზეთისა და მთლიანად საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. გიორგი ძიძარიას, ბორის ლაპინს, რევაზ სალუქვაძესა და აფხაზეთის მრავალ სხვა თვალსაჩინო მეცნიერს დამსახურებული ავტორიტეტი და პატივისცემა აქვთ მოხვეჭილი ჩვენი ქვეყნის ფართო სამეცნიერო წრეებში. აქტიურ შემოქმედებითსა და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა აფხაზეთის სახალხო პოეტი ბაგრატ შინკუბა, რომლის ნიშითაც დაკავშირებულია აფხაზური ლიტერატურის მრავალი მიღწევა. ბაგრატ შინკუბა სკკპ XXVII ყრილობის დელეგატია და ესეც სამშობლოს, პარტიის წინაშე მისი ღიდი დამსახურების აღიარებაა. მწერლის ნაწარმოებებმა სამართლიანად მოიპოვა ფართო პოპულარობა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც.

აფხაზური ლიტერატურა თავისი განვითარების ახალ ეტაპზე სულ უფრო მჭიდროდ ურთიერთმოქმედებს მთელ მრავალეროვნულ საბჭოთა ლიტერატურასა და უწინარეს ყოვლისა, ქართულ ლიტერატურასთან, რომელთანაც იგი სისტემურად ერწყმის. ეს უდიდესი მნიშვნელობის საქმეა, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს გამოცდილება შეიძლება გამოვიყენოთ რესპუბლიკის სხვა საყურორტო ზონებშიც. ამიტომ საჭიროა მტკიცედ წაგწიოთ იგი წინ, მივაღწიოთ პრობლემებისადმი კომპლექსურ მიდგომას, გავაუმჯობესოთ მთლიანად საკურორტო ქალაქების სახე.

ამავე დროს ეს ეხება ფასიანი ფოსტა, ეროვნული ფოსტა, ეროვნული ბანკი, ეროვნული ბიბლიოთეკა, ეროვნული ბიბლიოგრაფია, ეროვნული ოპერა, ეროვნული ბალეტი, ეროვნული ანსამბლი, ეროვნული ფილარმონია

ფაქტები • მოვლენები
ქრონიკა
ბიბლიოთეკა

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

ასიათასების შვიდშაურიანი ალიბი?!

ზარშან, 15 მაისს „კომუნისტის“ მკითხველებს, მათივე თხოვნით, დაწერილებით ვაუწყეთ ქუთაისის მაუდის ფაბრიკასა და სამტრედიის ხე-ტყის დამამუშავებელ კომბინატში მომხდარი ხანძრების ამბავი. ორივეგან უბედურების მიზეზი ხანძარსაფრნაალმდეგო წესების დაცვის უგულებელყოფა აღმოჩნდა. ორივეგან სახელმწიფო დიდად დაზარალდა, ხოლო ქუთაისში მსხვერპლიც კი იყო.

პარტიის სამტრედიის რაიონულმა კომიტეტმა რედაქციას ოპერატიულად, ვრცლად და არსებითად უპასუხა, თუ რა ღონისძიებები განახორციელა ქალაქში ხანძარსაფრნაალმდეგო წესების დაცვის უზრუნველსაყოფად და გაზეთმაც პასუხი უკვე 28 მაისის ნომერში დაბეჭდა.

პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის დაგვიანებული პასუხი კი ფორმალური და ზერელე გამოდგა. სამ გვერდზე აგვიწერეს (და ვერ ვიტყვით, რომ ჩვენზე უკეთ) ხანძრის პერიპეტიები, რაც მკითხველმა გაზეთიდან უკვე იცოდა. საგაზეთო ტექსტთან შედარებით საქალაქო კომიტეტის შეტყობინებაში ორი დადასტურება აღინიშნებოდა. პირველი: ხანძრის შედეგად დაღუპული ორი მოქალაქის დაკრძალვა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხარჯზე ყველა საჭირო რიტუალით მოხდაო (კი, გაუბედურებულ ოჯახს სახელმწიფო ორგანო მხარში რომ ამოუდგა, ეს ჩვენი ცხოვრების წესია, მაგრამ ამ შემთხვევაში, ესეც რომ არ ყოფილიყო, ჭირისუფალი, ვითომ, დაუტირებლად მიაბარდა მიწას ცხედარს?!).

და მეორე (სტალინ დაცულია): „მომხდარი ხანძრიდან გამომდინარე, შემუშავდა ცირკულარული წერილი სახალხო მეურნეობის ობიექტებზე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების აუცილებელ შესრულებაზე, რომელიც დაურიგდათ ქალაქის ყველა წარმოებადაწესებულების ხელმძღვანელებს და მათ განხორციელებაზე დაწესდა მკაცრი კონტროლი.

მაუდის ფაბრიკაში მომხდარი ხანძრის თაობაზე საკითხი მიდინარე წლის 30 მაისს სპეციალურ საკითხად იქნა განხილული პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენარულ სხდომაზე, პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება“.

ვინაიდან ქალაქკომის პასუხი ამით მთავრდებოდა და მკითხველს ვერ გავაცნობდით ამ დადგენილების შინაარსს, მისი გაზეთში დაბეჭდვა მიზანშეწონილად არ მივიჩნიეთ.

მაგრამ აი, გავიდა სულ ცოტა ხანი, და-კვლავ გვიხდება (დიდად სამწუხაროდ) მკითხველს ვაუწყოთ, რომ ქუთაისში მწარე გაკვეთილებიდან სათანადო დასკვნები არ გამოაქვთ, რომ „პლენარული სხდომის“ დადგენილების შესრულებასაც ფორმალურად მოეკიდნენ.

ჯერ კიდევ გასარკვევია: იმ მიზეზით, რომ „ცირკულარული წერილის“ გაგზავნა დაავიწყდათ ან არ დააკვიწყდათ, და წერილ შედეგი არ მოყოლია, თუ იმის გამო, რომ დარაჯი მთვრალი იყო, მაგრამ ფაქტია: ამა წლის 5 იანვარს დაიწვა ქუთაისის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს კულტსაქონლის საწყობი, რომელიც ქალაქის თეატრალური საზოგადოების ტერიტორიაზე იყო წერეთლის ქუჩის 76-ე ნომერში.

ხანძრის მიზეზებს და შედეგებს ძიება დაუწესებს, მაგრამ ის, რაც უკვე დადგენილია, უტუყარად ამხილებს, რომ პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის სტილი დაზღვეული არ არის იმუშაოს გაუგებრობისაგან, როცა ქაღალდს მიაწერენ „ადამსნურ ძალას, ბგონიათ რომ დადგენილება, ქაღალდზე თუ იქნება გადატანილი, თავისით შესრულდება.

ამ დროს კი, ცნობილია, ცეცხლში ქაღალდი ყველაფერზე იოლად იწვის.

მაუდის ფაბრიკის უბედურების შემდეგ განა შეიძლებოდა მნიშვნელოვანი სასაწყობო ობიექტის უპატრონოდ დატოვება? არადა, უპატრონო იყო აწ საცრად ქცეული წაწყობი, რამეთუ სთათვლო ნაგებობის კუთვნილება წლების მანძილზე გაუფორმებლად ჰქონდათ მიტოვებული. ჯერ ტრიკოტაჟის ფაბრიკას ეკუთვნოდა, 1983 წელს 270 მანეთად თვეში 200 კვადრატული მეტრი ფართობი დაიქირავა ვაჭრობის სამმართველომ, მაგრამ ექსპლოატაციის საფასურად კაპიკიც არ გაუღია.

შემდეგ ტრიკოტაჟის ფაბრიკის ეს ტერიტორია თეატრალურ საზოგადოებას დადასცეს და არც ამჯერად გაუფორმებიათ გაქირავების ხელშეკრულება. არ არსებობს ობიექტის მიღებისა და დაცვისათვის გადაცემის აქტი, ან სხვა რამ დოკუმენტი, დაცვასა და მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს არავითარი ურთიერთვალდებულება და ანგარიშგება არ აკავშირებთ.

საოცარია, რომ ამავე ტერიტორიაზე სახელმწიფო სახანძრო ინსპექციამ თვის დროზე შეწყვიტა ორი სხვა საწყობის ექსპლოატაცია, ერთიც სულ გააუქმა, მაგრამ ვაჭრობის სამმართველოს ხელმძღვანელობას წარბიც არ შეუხრია.

ახლა ზარალის მათებრად დათვლის ასეთ ნიშანდობლივ მეთოდზეც ვთქვათ. კომისია მთლიანად შეადგინეს სამმართველოს წარმომადგენლებმა, არც სახალხო კონტროლი, არც დეპუტატი, არც ვაჭრობის სამინისტრო და არც ადმინისტრაციული ორგანოები წარმოდგენილნი არ იყვნენ.

6 იანვარს სამართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროში გამგზავნილ ცნობაში, წინასწარი მონაცემებით, ზარალი 5 000 მანეთს შეადგენდა, ხოლო 28 იანვრისაში — 260 ათას 947 მანეთსა და 35 კაპიკს.

ძნელი მისახვედრი როდია, საიდან მოდის ამგვარი მყვინარალა შეუსაბამობა — სად ხუთი და სად სამასი ათასი! — ქუთაისელ ამხანაგებს პარტიული ყირილობის წინ არ უნდოდათ ცეცხლით და ბენზინთ მიეკიცათ ყურადღება, მიჩუმათება მოინდომეს, თუ გამოუვიდოდათ. მოჩვენებითობის ტიპური გამოვლინებაა!

პირველი ცნობა ქუთაისის სავაჭრო გაერთიანების დირექტორს ი. კლდიაშვილს ეკუთვნის, ხოლო მეორე — მის მოადგილეს ი. ჭელიშვილსა და მთავარ ბუღალტერს გ. ნამგალაძეს.

ნუთავინ იკითხავს, ბუღალტერი რა საქმეო იყოო. ამ ნაცარტუტაში 35 კაპიკის პოვნა არ გინდოდათ?!

ბოდიშს ვუხდით ვაჭრობის ყველა პატიოსან მუშაკს და, ოფიციანტებმა იციან ამგვარი ანგარიში ზედმეტი დამაჯერებლობისათვის.

საინტერესოა, ამ „35 კაპიკში“ ხომ არ იგულისხმება მაგნტოფონის 5400-მდე იაპონური, თითო 9 მანეთად ღირებული პლასტმასის კასეტი, რომლებიც „უკვალოდ“ შთანთქა ხანძარმა? ან იქნებ, 35 კაპიკად ფასდება აქ მიღებულ დადგენილებათა შესრულება?

მოკლედ, ბევრ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი და წერტილიც დაესვას.

ერთი დასკვნის გამოტანა კი უკვე მართებულია: თუ ქალაქის ხელმძღვანელობამ ასე განგარძა,—გვაშოროს ღა, გაგვახსენებს ძველი ქუთათური ფოლკლორის სასიმღეროდ უწყინარ სიტყვებს: „ქუთაისი გადამწვარა თავის დუქნებიანადო...“.

„მზიური ველი“ — ახალგაზრდების საფიქვნო

შასანიშნავ ინიციატივას — შემოქმედებითი ახალგაზრდობის ბაკურიანის რესპუბლიკური სემინარს 1965 წელს დაუდო სათავე საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა. მას შემდეგ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, აი, ამ დროს, როდესაც ბაკურიანი განსაკუთრებით მომხიბლავია, აქ იკრიბებიან ახალგაზრდები, უფრო ახლოს ეცნობიან ერთმანეთს და რაც მთავარია პირუთვნელად საუბრობენ ლიტერატურისა და ხელოვნების მომავალზე.

უდავოა ბაკურიანის სემინარების კეთილმყოფელი გავლენა ამ ახალგაზრდების სულიერი ფორმირების, მრწამსის, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

ცოტაც და ისინი თავისი თაობის დიდ სათქმელს იტყვიან, ტაბილ მოგონებად დარჩება ეს რამდენიმე დღე, მოქათქათე თოვლი, მზეზე მბრწყინავი „ჯოხტა გორა“ და საერთაშორისო ახალგაზრდული ბანაკი „მზიური ველი“...

სწორედ „მზიურ ველში“ გაიხსნა კვირას ტრადიციული რესპუბლიკური სემინარი. ვრცელი და საინტერესოა მისი პროგრამა: პირველი დღე ლიტერატურას დათმო, გუშინდელი — მხატვრობას, დღეს არქიტექტორები ბჭობენ, ხვალ ჟურნალისტიკის დღეა, შემდეგი — მუსიკის, კინოს, თეატრისა. როგორც ყოველთვის, სემინარის მუშაობაში მონაწილეობენ რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირების, მთელი რიგი სამინისტროების ხელმძღვანელი მუშაკები, ჩვენი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები. აქვე ვეცნობით ახალგაზრდა მხატვრების, არქიტექტორების, მწერლების, კინემატოგრაფისტების ახალ ნაწარმოებებს: მოეწყობა შეხვედრები ბორჯომის რაიონის მრომელებთან და მოსწავლე ახალგაზრდობასთან, ახალი სექტაკლით „სამანიშვილის დედინაცვლით“ ეწვევა ბაკურიანს სტუდენტური თეატრი.

სემინარის ოფიციალურ ნაწილს წინ უსწრებდა ახალგაზრდა არქიტექტორთა და მხატვართა ნამუშევრების გამოფენის გახსნა, გამოფენა დამთვალიერებლს წარუდგინა რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა თ. გოცაძემ. მან აღნიშნა, რომ ეს ავტორები მხოლოდ ნაწილია იმ ახალგაზრდებისა, რომლებიც ბოლო ხანს უკვე სისტემატურად მონაწილეობენ მასშტაბურ გამოფენებზე და მათი დიდი იმედი გვაქვსო.

... მართლაც ნიჭი და სამყაროს თავისებური აღქმა ჩანს ნ. ჭურღულიას, ნ. შელიას, მაღრაძის, ი. ფარჯიანის, ლ. ლომთათაძის, ქ. მატაბელის, გ. ბუღაძის და სხვათა ნამუშევრებში.

იმავე დღეს „მზიური ველის“ სააქტო დარბაზში შემოქმედი ახალგაზრდობის რესპუბლიკური სემინარი გახსნა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ლორთქიფანიძემ. მან ხაზგასმით აღნიშნა ის გარემოება, რომ ბაკურიანის კეთილმოწყობისა და განვითარების გენერალური გეგმის თანახმად, რომლის უსწრაფეს განხორციელებას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო უდგანან სათავეში, აქ კიდევ უფრო გაიზრდება ახალგაზრდული შეხვედრების დონე და არეალი.

შეკრებილთ მიესალმა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი რ. ამაშუკელი.

ამის შემდეგ ტრიბუნა ახალგაზრდა ლიტერატორებს დაეთმო. სხდომას წარმართავდა შემოქმედი ახალგაზრდობის რესპუბლიკური ცენტრის პრეზიდენტი პოეტი ე. ნიეარაძე.

ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებაში სიახლის ძიებას მიუძღვნა თავისი მოხსენება კრიტიკოსმა ა. მინდიაშვილმა; „ახალი თაობა, ახალი ჰორიზონტები“ — ასეთი იყო დ. მუიდლურის გამოსვლის თემა. ახალგაზრდა მთარგმნელებზე ისაუბრა თ. პატარაიამ, ახალგაზრდული კრიტიკის პრობლემებზე — ლ. ბრეგაძემ. მერე კი ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ახალგაზრდა პროზაიკოსები, პოეტები, კრიტიკოსები. იყო გულსადილი სიუბარი, რჩევა, კეთილმოსურნე კრიტიკა... 16 თებერვალს სემინარი დასრულდება ახალგაზრდული მეჯლისით.

ვ. მარდალეიშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

გავააქტიუროთ იდეოლოგიური მუშაობა

8 თებერვალს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული თათბირ-სემინარის მონაწილეებმა განიხილეს საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნათა მიხედვით პარტიული კომიტეტების, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებისა და სკკპ XXVII ყრილობის შეხვედრის იდეოლოგიური უზრუნველყოფის კონკრეტული ამოცანები. თათბირ-სემინარზე მოწვეული იყვნენ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა, რესპუბლიკის იდეოლოგიური საბინეტრებისა და უწყებების ხელმძღვანელები.

თათბირ-სემინარმა გააანალიზა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის შემდეგ გაწეული მუშაობის პირველი შედეგები, განსაზღვრა სკკპ XXVII ყრილობისათვის მზადების პერიოდში და უფრო ხანგრძლივი პერსპექტივისათვის მთელი იდეოლოგიური და მასობრივი-პოლიტიკური მუშაობის გაკეთილშობილების გზები, საქმიანობის ფორმები და მეთოდები.

თათბირ-სემინარზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე. (საქინფორმი).

„ᲛᲝᲙᲚᲔᲓ“

◆ **ᲙᲐᲘᲠᲝ.** ᲑᲐᲰᲠᲔᲘᲜᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲛᲐᲜᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲡ ᲧᲣᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲣᲚ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ. როგორც მენის საგენტო იუწყება, საუდის არაბეთის, კუვეიტის, ბაჰრეინის, ომანის, გაერთიანებული არაბული საამიროებისა და კატარის დიპლომატიურ უწყებათა მეთაურებმა განიხილეს ახლო აღმოსავლეთის ვითარება.

◆ **ᲛᲐᲜᲐᲒᲣᲐ.** ᲓᲦᲔᲡ ᲜᲘᲙᲐᲠᲐ�გᲣᲐᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ ᲚᲐᲗᲘᲜᲝᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲘᲑᲘᲡ ᲐᲣᲖᲘᲡ ᲙᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ, რომელშიც მონაწილეობს ასზე მეტი პარტია და პოლიტიკური ორგანიზაცია, კონფერენციას, რომელიც „მშვიდობისა და ცენტრალური ამერიკის სამყეროში ჩაურევლობის“ ლოზუნგით გაიმართება, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნიკარაგუის წინააღმდეგ შეერთებული შტატების სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური აგრესიის ექსკალაციის ახლანდელ პირობებში.

◆ **ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ.** ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲚᲘᲖᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲛᲑᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒᲘ, ᲐᲮᲚᲝ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲑᲐᲡᲘᲫᲔᲡ ᲛᲘᲣᲬᲧᲝᲗ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲛᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ.

◆ **ᲛᲐᲜᲘᲚᲐ.** ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲚᲛᲐ ᲛᲓᲒᲘᲜᲐᲠᲔ ᲝᲠᲛᲝᲒᲐᲜᲘᲡ ᲝᲙᲣᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲜᲐᲬᲘᲠᲖᲔ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲜᲐᲑᲚᲣᲡᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲗ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲞᲐᲚᲔᲡᲢᲘᲜᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲛᲘᲣᲡᲐᲯᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ „ᲣᲠᲩᲝᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲜᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐᲡ ᲐᲚᲐᲠᲘᲡᲮᲛᲘᲗ.

სოციალიზმი და მშვიდობა განუყოფელია

**ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲦᲝᲜᲔᲖᲔ ᲑᲛᲐᲠᲝᲑᲗ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲙᲕᲚᲐᲕᲐᲪ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲘᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲔᲜ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲘᲪᲘᲐᲜᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲛᲘᲡᲐᲦᲬᲘᲠᲐᲕᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲗᲘᲡ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲠᲘᲡᲗᲐ ᲐᲠᲘᲡᲗᲐᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ ᲛᲘᲡᲐᲦᲬᲘᲠᲐᲕᲘ

ჩავუფიქრდეთ: ეს ფრიად სერიოზული საკითხია!

საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების მიზნით

რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების საკოორდინაციო საბჭოს სხდომა

გაიმართა რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების საკოორდინაციო საბჭოს სხდომა. განიხილეს ცეცხლსასროლი იარაღის, ტყვია-წამლისა და ასაფეთქებელ ნივთიერებათა დატაცების, მათი უკანონო ტარების, შენახვის, შეძენის, დამზადებისა და გასაღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხები.

სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოები ყოველთვის ჯეროვან შეფასებას არ აძლევენ ზემოაღნიშნულ დანაშაულობათა საზოგადოებრივ საშიშროებას, დროულად არ ავლენენ და პასუხისგებაში არ აძლევენ დამნაშავე პირებს, ზოგჯერ არ ადგენენ მათს უახლოეს გარემოცვას, კონკრეტულ მიზეზებსა და პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს ამ სამართალდარღვევათა ჩადენას.

ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა იარაღის, ტყვია-წამლისა და ასაფეთქებელ ნივთიერებათა რეგისტრაციის, შენახვისა და გამოყენების წესების დაცვას. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გახშირდა უბედური შემთხვევები, რომლებიც იწვევენ ადამიანების დაღუპვასა და დამრავებას, ვიწრო მკვლელობების, ყაჩაღური თავდასხმების, ძარცვის, ბოროტი ხულიგნობისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩადენილ სხვა საშიშ დანაშაულობათა რიცხვი.

არცთუ იშვიათად იარაღი ხვდება არა მარტო დამნაშავეების, არამედ აგრეთვე ცალკეული თავქარიანი ახალგაზრდების ხელში, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდობის ამ ნაწილში ანტისაზოგადოებრივი შეხედულებებისა და განწყობილების გავრცელებას.

ამ საშიში და ანტისოციალური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებისათვის შინაგან საქმეთა, პროკურატურის ორგანოებმა და სახალხო სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა დროული, ხარისხიანი გამოძიება და განხილვა, არ დაუშვან დამნაშავეთა მიმართ გაუმართლებელი ლიბერალიზმისა და შემრიგებლობის ფაქტები, თითოეულ შემთხვევაში დაადგინონ ყველა პირი, რომლებიც დაკავშირებული არიან დანაშაულის ჩადენასთან. ფართოდ უნდა განუმარტონ მოსახლეობას ამგვარ სამართალდარღვევათა საზოგადოებრივი საშიშროება, ახალ საფეხურზე აიყვანონ გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობა.

ამას, კერძოდ, ხელს შეუწყობს მონკავშირის ზოგიერთი წევრის წინადადება სანადირო იარაღის ცენტრალიზებული შენახვის ორგანიზაციის შესახებ. ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო ამზადებს შესაბამის ღონისძიებებს. დასახულია მონკავშირის წევრთა გლუვლულიანი სანადირო თოფები თავმოყრილ იქნეს შინაგან საქმეთა ორგანოებში, სადაც უზრუნველყოფენ მათს შესაბამის დაცვა-შენახვას. მფლობელებს იარაღი მიეცემათ სათანადო საბუთის წარდგენისას მხოლოდ ნადირობის დროისათვის და იმ პირობით, რომ უსათუოდ დაბრუნებენ მას შენახვის პუნქტებში. ეს თავდან აგვაცილებს ბევრ უბედურ შემთხვევას, და ზოგჯერ — დანაშაულობასაც, რომლებიც ხდება სანადირო თოფების გამოყენებით, განსაკუთრებით სიმთვრალის, ოჯახის წევრებისა და მეზობლების უსიამოვნებათა ნიადაგზე. ღონისძიება ხელს შეუწყობს აგრეთვე ნადირობის წესების დაცვისადმი კონტროლის გაძლიერებას, ბრაკონიერობასთან ბრძოლის გააქტიურებას. ასევე ექსპერიმენტი უკვე მიმდინარეობს ქალაქ თბილისის ლენინის რაიონსა და გორის რაიონში.

ამავე დროს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო ამუშავებს კომპლექსურ ღონისძიებებს, რათა ყოველმხრივ გაძლიერდეს მუშაობა იმ პირთა გამოსავლენად და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მისაცემად, ვინც განაგრძობს ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვას და ცდილობს გამოიყენოს იგი დანაშაულებრივი მიზნით.

ადგილობრივმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უნდა გააკონტროლონ ადამიანების კანონის მოთხოვნა, რომ პირი, რომელმაც ნებაყოფლობით ჩააბარა უკანონოდ შენახული ცეცხლსასროლი იარაღი, ტყვია-წამალი და ასაფეთქებელი ნივთიერებანი, თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისგებისაგან.

ფართო საზოგადოებრიობამ, თითოეულმა ოჯახმა, სასწავლებლებმა, ყოველმა შრომითმა კოლექტივმა ყველაზე დაინტერესებული მონაწილეობა უნდა მიიღონ იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების უკანონო შენახვის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაში, ფართოდ ეწეოდნენ დამატებითს მუშაობას განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, ახორციელებდნენ ღონისძიებებს ამ ძალზე საშიშ დანაშაულობათა თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისათვის. მარტო ამ გზით მივაღწევთ რესპუბლიკაში სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებას. (საქინფორმი).

სარედაქციო კომენტარი:

თუკი ადმინისტრაციული ორგანოების საკოორდინაციო საბჭო ამ პრობლემას სპეციალურ სხდომას უძღვნის საგანგაშოდ ხომ არა გვაქვს საქმე?

დიახ, გვაქვს!

მარტო შარშან ცეცხლსასროლმა იარაღმა 25 ადამიანის, მათ შორის ბავშვების, სიცოცხლე შეიწირა. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე კი ამგვარი იარაღით ჩადენილია რამდენიმე ასეული დანაშაული.

სავალალო შედეგის თვალსაზრისით თავისთავად შემაშფოთებელი ციფრია! მაგრამ იარაღის უკანონოდ შენახვისა და ტარების ფაქტს სხვა, მორალური მხარეც აქვს. ჩვენი საზოგადოებრიობა, რომელიც თავისუფალ ქვეყანაში ცხოვრობს, რომელმაც იცის, რომ ძალადობის საშუალებანი მაღაზიის ვიტრინიდან თვალს ვერავის მოსჭრის ადამიანისადმი უკიდურესი ციხეზმის გამოვლინების სიმბოლოდ, როგორც ეს კაპიტალისტურ სამყაროშია, ჩვენი მოქალაქე, რომელმაც დიდი მადლიერების გრძნობით შეიფერა პარტიის პოლიტიკის მთავარი არსი — ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის, ვერ შეეგუება შიშს უკანონოდ შეიარაღებული მავანისა და მავანის წინაშე. ის კი არა, ახლა საკითხი ისე დგას, რომ ნებადართულ სანადირო თოფსაც სპეციალური, დახურული და დაცული ადგილი მიეჩინოს, რომ კედლის ნოხის გასალამაზებელ ნივთად კი არ იქნეს მიჩნეული ოჯახში, არამედ მონადირეს მიეცეს მხოლოდ ნადირობისას. ამგვარი გამოცდილება უკვე აქვთ სოციალისტური თანამეგობრობის ზოგიერთ ქვეყანაში.

მდგომარეობა სერიოზულია იმდენად, რამდენადაც ცეცხლსასროლი ცივი იარაღისადმი ლტოლვას ეჩენს ახალგაზრდობის ერთი ნაწილი.

პრესაში უკვე გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის პროკურატურამ კალინინის სახელობის რაიონის პროკურორის თანამდებობიდან დაითხოვა გ. ა. სხირტლაძე, რომელიც მფარველობა და დახმარება აღმოუჩინა თავის ნათესავს ვ. ვ. სხირტლაძეს თავი დაეღწია პასუხისმგებლობისაგან იარაღის უნებართოდ ტარებისთვის. ნიშანდობლივია, რომ ვ. ვ. სხირტლაძეს იარაღთან ერთად ნარკოტიკული ნივთიერებაც აღმოაჩნდა. ერთ ჰიპერტროფიულ თვისებას, ჩვეულებრივ, მეორე და მესამეც თან სდევს.

საზოგადოებრიობამ მშობლების, ოჯახის ყურადღება უნდა დაძაბოს, რათა ახალგაზრდებს ავარიდოთ ის ძალზე საშიში თავდაჯერება, სხვების წინაშე საკუთარი უპირატესობის გრძნობა, რომელიც დამახასიათებელია შეიარაღებული პიროვნების ცრუ წარმოდგენათვის.

შარშან, 18 ნოემბერს მეცადინეობის საათებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეზუთე კორპუსში ორჯონიკიძის რაიმილიციის გამყოფილების თანამშრომლებმა დაკავეს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მეცხრამეტე ტრესტის უბნის უფროსი ლევან ვახტანგის ძე ჩანტლაძე, რომელიც მთვრალი იყო და ჯიბეში „ბაუერის“ ტიპის პისტოლეტი ედო ხუთი საბრძოლო ვაზნით. ბინაზე კარადაში ლ. ჩანტლაძეს სხვა მარკის ერთი პისტოლეტი, ორი მცირეყალიბიანი შაშხანა, სპორტული პისტოლეტი და 180 სხვადასხვა ყალიბის ვაზნა აღმოაჩნდა. აქვე ნახეს უცხოთეთდან შემოტანილი ავტომატური კალმის ფორმის ორი ცეცხლსასროლი იარაღი, რომლის დანახვა და გაგონება ნორმალურ ადამიანში ამაზრზენ განცდას იწვევს, როგორც სულმდაბლური და მუხანათური საშუალება ანგარიშსწორებისა. გავიხსენოთ, როგორ აფეორიაქა თბილისი ამგვარი, ვერაგთა მიერ მოგონილი იარაღით მოკლული ახალგაზრდა დედის შარშანდელმა ტრაგედიამ.

ახლა, აღარ იკითხავთ, ვისი შვილია აწ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული ლევან ჩანტლაძე? საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის განყოფილების გამგის მოადგილის ვახტანგ ლეონიდეს ძე ჩანტლაძისა, რომლის პარტიული და სამსახურებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ჯერაც არ დასმულა არც პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში და არც პარტიის კალინინის რაიკომში. ვინ დაიჯერებს, რომ შვილს კანონსაწინააღმდეგო „გატაცება“ დიასახლისმა დედამ არ იცოდა, ან ძმისა ძმამ — საბალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა მუშაკმა ირაკლი ჩანტლაძემ?

ყველა, ყველა უნდა ჩაუფიქრდეს ამგვარი ანომალიების საშიშროებას საზოგადოებისათვის. ეს ერთობ სერიოზული საჭირბოროტო საკითხია, რომელიც გადაუდებლივ უნდა მოგვარდეს. უამისოდ ფუჭია სურვილი რესპუბლიკაში წესრიგისა და კანონიერების დაცვა-დამყარებისა.

ᲫᲠᲝᲜᲘᲙᲐ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. **ზ. ი. დარასელი** დანიშნა საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

ᲬᲚᲔᲣᲚᲘ ᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ ᲛᲔᲒᲖᲜᲔᲑᲐᲠᲔ რევოლუციონერის, გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის გ. კი ორჯონიკიძის დაბადების 100 წლისთავი. სწორედ მის მშობლიურ სოფელ ღორეშაში ამ ბოლო წლების მანძილზე მომხდარ სასიკეთო სიახლეებზე, სოფლის კეთილდღეობისათვის ადგილობრივ მკვიდრთა ზრუნვაზე, იუბილესათვის მზადებაზე მოგითხრობთ ეს წერილი.

აწრიალებულ სკას მოგაგონებდათ იმ დღეს სოფელი. ახალი მიღებული ჰქონდათ გაზეთ „კომუნისტის“ იმდღევანდელი ნომერი, რომელშიც გამოქვეყნებული იყო კრიტიკული მასალა სათაურით „ფიქრები სერგოს მშობლიურ სოფელზე“. გაზეთი ხელიდან ხელში გადადიოდა. ყველანი დაკვირვებით კითხულობდნენ, ოწონებდნენ წერილს, ბჭობდნენ, ბჭობდნენ ბაზრს, აყენებდნენ კონკრეტულ წინადადებებს.

ბოლოს გადაწყდა, სოფლის კომუნისტები შეკრებილიყვნენ და პარტიულ კრებაზე განეხილათ გაზეთის სტატია. მაგრამ სინამდვილეში ყველანი მოვიდნენ, დიდი და პატარა, არავინ დარჩენილა გულგრილი. დიდხანს გაგრძელდა გულახდილი, პირუთვნელი სხეაასი. გამოსავალი უნდა გამოენახათ. თვითონ სოფელს, მართალია, სახსრები არ ჰყოფნიდა, მაგრამ საქმე მაინც უნდა გამოსწორებულიყო.

და ამ დროს სოფლის სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელმა ტუხია ორჯონიკიძემ ასეთი აზრი გამოთქვა — საშეფო დახმარება ეთხოვართ სერგო ორჯონიკიძის სახელობის საწარმოებისათვის (გაზეთიც ხომ ამას ურჩევდა), ქალაქების და რაიონებისათვის. პასუხად სკეპტიკური შენიშვნები გაისმა. „მაქედან არაფერი გამოვა“!, „ჩვენთვის ვის სცალია“, „ვინ მოკიდებს ამას ხელს“. „რატომ არ გამოვა, ხალხს ნაფუი კი არ დაუკარგავს, მე ვიკისრებ მაგ საქმეს და ეს ულვაში მომპარსეთ, თუ საქმე არ გავაკეთო, თუ სერგოს სოფელი საქართველოში ყველაზე ლამაზი არ გახდეს“, — ნაწყენმა უპასუხა ტუხიამ. მალე კი განცხადება დაწერა და პენსიაზე გავიდა. მან სახალხო განათლების წარჩინებული წოდებით დაამთავრა თავისი 42 წლის პედაგოგიური მოღვაწეობა. ტუხიამ უარი თქვა ოფიციალურ გაცილებაზე, საკუთარი ხელფასიდან „გამოიწერა მივლინების თანხა“ და გზას გაუღგა.

მისი გეოგრაფიული მარშრუტი მთელ რესპუბლიკაში და საბჭოთა კავშირში გადიოდა, მოსავლელი კი ბევრი ადგილი ჰქონდა — ჩვენს ქვეყანაში სერგო ორჯონიკიძის სახელობისა 450 დიდი საწარმო. და სულ თან დაჰქონდა ჩვენი გაზეთის სტატია, რომლის მეშვეობითაც მიმართავდა საწარმოთა კოლექტივებს, პარტკომებს, საქარხნო პროფკავშირის კომიტეტებსა და კომკავშირის კომიტეტებს, სთხოვდა განეხილათ სტატია და სოფლის შეფობა ეკისრათ.

ცხადია, მართალი იყო ტუხია. სიბრძნემ და ცხოვრების გამოცდილებამ უკარნახა ერთადერთი და ყველაზე სწორი გზა. ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, ხომ სიტყვები „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“ უბრალო ლოზუნგი კი არა, იმის ყოველდღიური მოთხოვნილებაა, რომ ერთმანეთს მხარი ვეგიგეთ და, თუ გაჭირდა, მეგობრული ხელი გავუწოდოთ.

ასეთი მეგობრული ხელი სოფელს პირველებმა გაუწოდეს სეკრეტარიატის სერგო ორჯონიკიძის სახელობის გემთმშენებელი ქარხნის მუშებმა. ეს მათ აღმართეს სოფელში მშვენიერი რბელისკი და საბრძოლო ხომალდის — ბუნებლობას. ძალიან მოკლე ხანში მის გარშემო ხუთი ჰექტარი პარკი გაშენდა. და მისი მშენებება გახდა პატარა ტბა, რომელსაც გარს აკვრია ხეივანი, — ომში დაღუპულ სოფლელ კომკავშირელთა სამახსოვრო ადგილი. აქ ყოველი ვაზი მეომრის სახელობისაა და დაღუპულთა უკვდავი ხსოვნის სიმბოლოა.

არც ტყიბულის რაიონის მშრომელები დარჩნენ ვალში. სოფლელებმა სწორედ მათი დახმარებით აამენეს ორსართულიანი სახლი, სადაც განლაგებულია, ჯერჯერობით მოკრძალებული, სოფლის საბრძოლო და შრომითი დიდების მუზეუმის ექსპოზიცია. ამ სახლში ორიგინალური საჩუქარი დატოვეს აპარელმა კომკავშორელებმა, სახელდობრ — ჩინებულად გამოთლილი ქართული აკვანი, რომელზეც წარწერილია — „გადაიცით ომ ოჯახს, რომელშიც მეცხრე ბავშვი დაიბადება“.

თავი გამოიჩინეს სოფლის კეთილმოწყობაში ფოთის ვემთშემკეთებელ-გემთსაშენებელი ქარხნის მუშებმა, რომლებმაც ჩინებული კულტურის სასახლე აგეს, სადაც წარმატებით გამოდის სოფლის მხატვრული თვითმოქმედებანი კოლექტივი, იმართება სხვადასხვა ღონისძიებანი, შეხვედრები და, რა თქმა უნდა, სოფლის ყრილობები. კულტურის სახლის კედლებს კი ამშვენებს 200 ფერწერული ტილო (ლამის სურათების გალერეა!) — თბილისის სამხატვრო აკადემიის საჩუქარი.

დღეს პარკის ტბაში შეგიძლიათ გაისეირნოთ კატარღით, რომელიც თავისუფალ დროს აუგიათ დაზოგილი მასალებით ფოთის გემთშემკეთებელ-გემთსაშენებელი ქარხნის კომკავშირელებს. ქუთაისელ ავტოქარხნელთა მეცადინეობით სოფლის მოსწავლეებმა ახალი სკოლა მიიღეს. ელგუჯა მაღრაძემ სოფელს გადასცა სერგო ორჯონიკიძის ჩინებული ნაქანდაკევი ბიუსტი, ახლა მგზნებარე მებრძოლი რევოლუციონერის მემორიალურ კომლექს-ხეივანს რომ ამშვენებს. ნორჩი სოფლელებისათვის ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის მუშათა დახმარებით აიგო პიონერთა ქალაქი.

ღორეშაში ყოველწლიურად ჩავდიოდი და ვხედავდი როგორი ენთუზიაზმით მუშაობდნენ სოფლელები, როგორ ეხმარებოდნენ შეფები, როგორ თვალსა და ხელს შუა ლამაზდებოდა სოფელი. და საზღვარი არ ჰქონდა ბაბუა ტუხიას სიხარულს, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა დახმარებოდა მშენებლებს. მაგრამ ყოველთვის შეუფერხებლად როდი მიუდიოდა საქმე. რაც მართალია, მართალია: დღემდე შემოგვრჩნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც სიტყვით უამრავ რამეს დაგპირდებიან, კოლექტიურ სოციალისტურ ვალდებულებებშიც კი ჩაიწერენ, შემდეგ კი ყველაფერი ავიწყდებათ. ჰოდა, ერთხელ ბაბუა ტუხიას რამდენჯერმე მოუხდა შესვლა რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი საწარმოს ხელმძღვანელის კაბინეტში. დაჰპირდა, ქარხანა დაგეხმარებათო... ამის გამო ყოვნდებოდა ერთ-ერთი სასოფლო ობიექტის შენებლობა. გაჯავრდა ქარხნის დირექტორი ტუხიაზე, დაცვას უბრძანა: „ეს ულვაშიანი კაცი თვალით აღარ დამანახოთო!“. და როცა ეს ტუხიამ შეიტყო, არ ვიცი, განაწყენდა თუ იეშმაკა — ფლაქთან მივიდა და თავისი ლამაზი ულვაში მოიპარსა. გაოცდა დაცვა, უულვაშო ტუხია რომ იხილა, და ართუ არ დაუკავებიათ ეს გმირი კაცი, რომელმაც წმინდა საქმისათვის უულვაშიც კი გასწირა, ცომცომ-ცომცომ მიუყვანიათ ქარხნის დირექტორთან. და დირექტორმაც, ვერ გეტყვიო, შეცბა თუ შერცხვა, აქვე გაუკეთა ყველაფერი, რასაც დაპირდა.

აი, ეს შემთხვევა კი ამ ცოტა ხნის წინათ მოხდა. ტუხია გრძნობდა, რომ ტბას — სოფლელებისა და ექსკურსანტების საყვარელ ადგილს რაღაც აკლდა. ჰოდა, უკვე მერამდენედ, თავისი პენსიიდან კვლავ გამოყო მოვლინების ხარჯები და სოჭს მიაშურა. შეუტყვია, რომ აქ, პარკ-დენდრარიუმში, რომელიც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო ჯანმრთელობის კერის — სერგო ორჯონიკიძის სახელობის სანატორიუმის ტერიტორიაზეა, მშვენიერი გედები ჰყოლიათ. მაგრამ, თურმე, შეფობის წესით მათი გადაცემა შეუძლებელი ყოფილა ქალაქის უმაღლესი ინსტანციის ნებართვის გარეშე. და როცა ტუხიას უარი უთხრეს, მას ასეთი მონოლოგით უპასუხია: „ბიძიკო, მე მალე ოთხმოცდაათი წელი შემისრულდება. ჩემ წილად მინდა რაიმე გავაკეთო იმ კაცის სახელის უკვდავსაყოფად, რომელიც სათავეში ჩაუდგა საბჭოთა ხეხილსუფლებისათვის ბრძოლას ჩრდილოეთ კავკასიასა და ამიერკავკასიაში, კაცისა, რომელიც რუსეთის ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს პირველი თავმჯდომარე და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი იყო. მერე რამდენი რამ გაუკეთებია სოჭის, როგორც ქალაქ-კურორტის განვითარებისათვის, მთელ საათს შეუძლია გიამბოს ჩემმა შვილიშვილმა. შენ კი ორიოდე კვიტა გენანება მისი მშობლიური სოფლისათვის“, — კარი მიუჯახუნა ტუხიამ და წავიდა. მაგრამ დაწყნარდით, ეს-ეს არის შეგიტყვეთ, რომ კვიტა-გედები გამოსამგზავრებლად ემზადებიან.

ღორეშელებს და, რა თქმა უნდა, ტუხიასაც ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა აქვს გადასაწყვეტი, ეს-ეს არის დაამთავრეს ვაჟა-ფშაველას სახელობის პარკ-დენდრარიუმის აგება, სადაც 50 ბავშვი მეცადინეობს ბუნების მოყვარულთა წრეებში და ლიტერატურული თუ პოეტური საღამოები იმართება, სოფელში კი უკვე სპორტული კომლექსის აგებაზე ოცნებობენ. ამ საქმეში შეფებად მოევლინენ ქუთაისის ავტოქარხნის კომკავშირელები. უკვე შემოზიდეს საშენი მასალები, თექვსმეტმა კომკავშირელმა გადაწყვიტა უსასყიდლოდ იმუშაოს სოფელში, დაეხმაროს სოფლის ახალგაზრდობას სპორტული მოედნების მოწყობაში.

ახლა კი, უმთავრესი: ცხადია, ჩვენი გაზეთის სტატიამ ფრიად აალელვა სერგო ორჯონიკიძის ასული ეთერი. იგი დედაქალაქიდან სამუდამოდ გადასახლდა სოფელში, მამის მშობლიურ სახლში და სათავეში ჩაუდგა მემორიალური სახლ-მუზეუმის თანამშრომელთა მცირერიცხოვან კოლექტივს. მისი ცდის და თბილისის მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დახმარებით მშვენიერი საექსპოზიციო დარბაზები მოეწყო, რომლებიც სერგოს ცხოვრებასა და მოღვაწეობას გვაცნობენ. მოეწყო კინოლექტორიუმიც, რომელსაც დოკუმენტური ფილმების მთელი სერია აქვს. და მაინც, მუდამ ღელავს ქალბატონი ეთერი — სერგოს 100 წლის იუბილე ხომ ცხრა მთას იქით არ არის. წლეულს მთელი ჩვენი სამშობლო ფართოდ აღნიშნავს ამ საგულისხმო თარიღს. და ავლავ მკვეთრად გაიზრდება ექსკურსანტთა ნაკადი, ჩამოვლენ სერგოს სახელობის საწარმოთა კოლექტივების მრავალრიცხოვანი დელეგაციები, ყველას უნდა უმასპინძლონ, ყველაფერი ლაზთიანად უჩვენონ, მაგრამ, სამწუხაროდ, სოფლის გზა დიდ ყურადღებას მოითხოვს საავტომობილო გზების სამინისტროსაგან, რომელმაც, უნდა ითქვას, უკვე ბევრი რამ გაუკეთა სოფელს. მუზეუმის ექსპოზიცია უნდა შეივსოს ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ფონდების მასალებით, საჭირო ბანდება რეტავრატორთა ყურადღება, რათა გამაგრდეს თვით სახლ-მუზეუმის 200 წლის ხის ნაგებობა. დიდი სამუშაოები უნდა განხორციელდეს კამიდამოს ტერიტორიის კეთილმოსაწყობად.

როცა შინ ვბრუნდებოდით და სოფლის კულტურის ზონას ჩავუარეთ, დავინახეთ, როგორი სიხარულით ხვდებოდნენ სოფლელები ქუთაისელ კომკავშირელებს, სპორტული კომპლექსის მშენებლობაზე რომ ჩამოვიდნენ. და ამ სურათის შემყურეთ გვინდოდა გვეთქვა: „ძვირფასო ტუხია და ეთერ ორჯონიკიძეებო, გმადლობთ, ამ გმირული გარჯისათვის. ჩვენი საზოგადოებრიობა და პრესა კი მუდამ მხარში ამოგიდგებათ მგზნებარე სერგოს ხსოვნის უკვდავყოფის კეთილშობილურ საქმეში“.

ი. ლუკაშვილი,

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

მიზანი: სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა!

ფალავანი რეჟ ფალავნოვდეს

თბილისს ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრების ბოლო დღეს კიდევ ორ წონითს კატეგორიაში გამოვლინდნენ გამარჯვებულები. აბსოლუტური კატეგორიის ძიუდოისტთა ფინალში ერმომანეთს საქართველოს წარმომადგენლები შეხვდნენ: ქუთაისელი აკაკი კიბორძალიძე და თბილისელი კობა კურტანიძე. აღსანიშნავია, რომ პირველი 36 კილოგრამით უფრო ძლიერ გახლდათ მეორეზე. ამ შეხვედრაში ოდნავ აქტიური კიბორძალიძე იყო და საბოლოო გამარჯვებაც მას დარჩა. გამარჯვებულმა ფინალამდე სძლია ა. შაბანოვიჩს — ქულებით, ბალეინიმს (მონღოლეთი) და ვან დე ვალეს (ბელგია) — წმინდად, კურტანიძემ კი გადამწყვიტ ორთაბრძოლამდე, მოუგო ნ. სტოიკოვს (ბულგარეთი) — წმინდად, დივისენკოს — ქულებით და დუბოვსკის — წმინდად. ამ წონითს კატეგორიაში მესამე საპრიზო ადგილებზე გამოვიდნენ ხვან ჩო კილი (კსდრ) და ო. ზინჩენკო.

რაც შეეხება 60 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში გამარჯვებულს, 18 წლის ქუთაისელ რობერტ ლომთათაძეს, მან მართლაც განაცვიფრა ძიუდოს სპეციალისტებიცა და ამ სახეობის ჭიდაობის ქომაგებიც. მან ჯერ ზედიზედ ოთხი შეხვედრა ქულებით მოუგო ი. ვაგნერს (უნგრეთი), ვ. დუდუშს, ფ. ზეკრინს და ი. ტრუფანოვს, ბოლოს კი, ფინალში მახრობელა ილეთით 1 წუთსა და 52 წამში დამარცხა გ. ფაუსტოვი. ერთი სიტყვით, ქუთაისელმა ყმაწვილმა, რომელმაც შეჯიბრება დაიწყო სპორტის ოსტატობის კანდიდატის წოდებით, ასპარეზობა დაამთავრა პირველი ადგილისა და სპორტის საერთაშორისო ოსტატის წოდების მოპოვებით. ეს, მართლაც იშვიათი და, ალბათ, უნიკალური მოვლენაა, როცა საკმაოდ წარმომადგენლობით, ძლიერი შემადგენლობის ასპარეზობაში სრულიად ახალგაზრდა ძიუდოისტი უკან იტოვებს გაცილებით გამოცდილ და აღიარებულ სპორტსმენებს. ამ წონითს კატეგორიაში მესამე საპრიზო ადგილები წილად ხვდათ ი. ჟუჩკოვს და ა. იუშინს.

ამრიგად, თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში რვა წონითი კატეგორიიდან საქართველოს შვიდმა ფალავანმა ყველას აჯობა და პირველი ადგილი დაისაკუთრა. შეგახსენებთ შვიდივეს ვინაობას: თბილისელი მალხაზ ბერუაშვილი (მძიმე წონა), გორელები კობა კურტანიძე (95 კგ) და ჯემალ მკედლიშვილი (86 კგ), თბილისელები შოთა ხაბარელი (78 კგ) და ლერი ნაკანი (71 კგ), ქუთაისელები აკაკი კიბორძალიძე (ანსოლუტური წონითი კატეგორია) და რობერტ ლომთათაძე (60 კგ).

სატურნირო ორბიტა

ᲒᲐᲓᲐᲠᲯᲐᲙᲘ. შვეიცის ქალაქ მალმეში გრძელდება ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა შეჯიბრება. ექვსტურის შემდეგ ლიტინსკაიას 5,5 ქულა აქვს. ახმილოვსკაიას — 4,5, ლევიტინას და სემენოვკას — 3,5-3,5, ალექსანდროვას — 3, უ მინციანს (ჩინეთი) და კრამლინგს (შვეიცია) — 1,5-1,5, ბრუსტბანს (პოლონეთი) — 1.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲘ. კაუნასში დამთავრდა ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი. ასპარეზობის ბოლო დღეს თბილისის „დინამომ“ წაგო შეხვედრა კიევის „სტროიტელთან“ ანგარიშით 73:101. 54-54 ქულა დაგროვეს ცსკამ და „იუნასის „ფალგრინისმა“. მარტში ისინი სუპერფინალის მატჩებს გამართავენ და საბოლოოდ გაირკვევა ჩემპიონისა და ვერცხლის მედლების მფლობელთა ვინაობა. მესამე-მეოთხე ადგილებისთვის იბრძოლებენ ლენინგრადის „სპარტაკი“ (49 ქულა) და „სტროიტელი“ (48). დანარჩენები კი მომდევნო ადგილებზე ასეთი თანმიმდევრობით დამკვიდრდნენ: მოსკოვის „დინამო“ — 46 ქულა, ვილნიუსის „სტატბა“ — 41, თბილისის „დინამო“ — 40, რიგის ვეფი — 38.

ᲧᲐᲚᲐᲑᲣᲠᲘ. მოსკოვსა და ალმა-ათაში დასრულდა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე. თბილისის „დინამო“, რომელიც ალმა-ათაში ასპარეზობდა, დამარცხდა კიეველ (5:9) და ალმაათელ თანაკლუბელებთან (9:11).

ᲨᲔᲯᲐᲮᲕᲠᲘᲗᲘ. ლესკელიძეში ქუთაისის „ტორპედომ“ საკონტროლო-საწვრთნელი მატჩი გამართა ლენინგრადის „ზენიტთან“. გაიმარჯვეს ქუთაისელებმა ანგარიშით 1:0. ბოური გაიტანა მეგრელაძემ.

ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲣᲚᲝᲑᲐ. ქალაქ ისტ-რუტერფორდში (აშშ) ამერიკელმა სპორტსმენმა ბ. ოლსენმა ჭოკით ხტომაში 2 სანტიმეტრით (594 სმ) გაუსწორებია ს. ბუბკას მიერ წინადღით მოსკოვში ზამთრის ჩემპიონატზე დამყარებული მსოფლიო რეკორდი (592 სმ).

ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲐᲚᲐ სკკპ წევრი 1925 წლიდან, პერსონალური პენსიონერი ვარლამ ალექსის ძე **ინასარიძე.**

ვ. ინასარიძე დაიბადა 1903 წელს. თორმეტი წლის ყმაწვილმა შრომითი საქმიანობა დაიწყო თბილისში ქართველთა ამხანაგობის სტამბაში. მას შემდეგ ერთგულად ემსახურებოდა პოლიგრაფიულ და საერთოდ ბეჭდვითი სიტყვის საქმეს. ვ. ინასარიძე სხვადასხვა დროს მუშობდა ჭიათურის, ზესტაფონის, ორჯონიკიძის რაიონების სტამბებში, ამიერკავკასიის რკინიგზის სტამბის დირექტორად, მესტიისა და ქარელის რაიონული გაზეთების რედაქტორად. იყო პარტიის რაიონული კომიტეტების წევრი, რაისაბჭოების დეპუტატი, აქტიურად თანამშრომლობდა რუსპუბლიკურ პრესაში. მას ბოლო დრომდე არ შეუწყვეტია პარტიული და საზოგადოებრივი საქმიანობა, მუშაობდა ოქტომბრის რაიონის სხვადასხვა ორგანიზაციის პარტბიუროს მდივნად. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები, სამკერდე ნიშანი „50 წელი სკკპ რიგებში“.

თავდადაბალი და უმწიკლო ადამიანის ვ. ინასარიძის ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს გულში.

პარტიის თბილისის ოქტომბრის რაიკომთან არსებული ვეტერანთა საბჭო.

ᲠᲝᲪᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲙᲚᲘᲔᲠᲓᲔᲒᲐ

ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲘᲗ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲛᲔᲝᲮᲔᲑᲘᲗ

ᲬᲚᲔᲣᲚᲘ სრულდება მგზნებარე რევოლუციონერის, გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის გ. კი ორჯონიკიძის დაბადების 100 წლისთავი. სწორედ მის მშობლიურ სოფელ ღორეშაში ამ ბოლო წლების მანძილზე მომხდარ სასიკეთო სიახლეებზე, სოფლის კეთილდღეობისათვის ადგილობრივ მკვიდრთა ზრუნვაზე, იუბილესათვის მზადებაზე მოგითხრობთ ეს წერილი.

ᲐᲬᲠᲘᲐᲚᲔᲑᲣᲚ სკას მოგაგონებდათ იმ დღეს სოფელი. ახალი მიღებული ჰქონდათ გაზეთ „კომუნისტის“ იმდღევანდელი ნომერი, რომელშიც გამოქვეყნებული ი